

საქართველო  
ზუგდიდის მუნიციპალიტეტის  
საკრებულო  
2100 ზუგდიდი, რუსთაველის  
ქუჩა N90



MUNICIPAL COUNCIL  
OF ZUGDIDI  
№ 90 RUSTAVELI ST. ZUGDIDI  
GEORGIA

ქ. ზუგდიდი

6 იანვარი 2017 წ

ზუგდიდის მუნიციპალიტეტის საკრებულოს

განკარგულება N4

ზუგდიდის მუნიციპალიტეტის ჯიხაშკარის ადმინისტრაციულ ერთეულში მცხოვრები პაპუნა გაბეჩავას ტრაგიკულად დაღუპული ოჯახის წევრის დაკრძალვისთვის თანხის გამოყოფის შესახებ

საქართველოს ორგანული კანონის „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსისა“ და ზუგდიდის მუნიციპალიტეტის გამგებლის 2017 წლის 6 იანვრის N02/29 (შემოსული 6.01.2017 წ N12/03) მომართვის შესაბამისად:

ზუგდიდის მუნიციპალიტეტის საკრებულომ მიიღო განკარგულება:

1. ზუგდიდის მუნიციპალიტეტის ჯიხაშკარის ადმინისტრაციულ ერთეულში მცხოვრები პაპუნა გაბეჩავას ტრაგიკულად (ხანძრის შედეგად) დაღუპული ოჯახის წევრის დაკრძალვისთვის ზუგდიდის მუნიციპალიტეტის 2017 წლის ადგილობრივი ბიუჯეტის სარეზერვო ფონდიდან (კოდი 0104) გამოიყოს 3000 (სამიათასი) ლარი.
2. მიღებული განკარგულების შესახებ ეცნობოს ზუგდიდის მუნიციპალიტეტის გამგეობას;
3. განკარგულება ამოქმედდეს საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 54-ე მუხლის I ნაწილის შესაბამისად, გაცნობისთანავე;
4. განკარგულება შეიძლება გასაჩივრდეს საქართველოს „ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის“ 180-ე მუხლის I ნაწილის და „ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის“ 22-ე მუხლის მე-3 ნაწილის შესაბამისად, გაცნობის დღიდან ერთი თვის ვადაში, ზუგდიდის რაიონულ სასამართლოში, (მის. ქ. ზუგდიდი გრ. ქობალიას ქ. N12.)

ლ.ადეიშვილი



ზუგდიდის მუნიციპალიტეტის საკრებულოს  
თავმჯდომარის მ/შ



ს ა ქ ა რ თ ვ ე ლ ო  
ზ უ გ დ ი დ ი ს მ უ ნ ი ც ი პ ა ლ ი ტ ე ტ ი ს გ ა მ გ ე ო ბ ა  
GEORGIA  
ZUGDIDI MUNICIPALITY GOVERNMENT

N 02/29  
06/01/2017

29-02-2-201701061410



*ზუგდიდის მუნიციპალიტეტის საკრებულოს  
თავმჯდომარეს ბატონ მაიზერ ნანავას*

**ბატონო მაიზერ,**

ზუგდიდის მუნიციპალიტეტის გამგეობაში შემოსულია ჯიხაშკარის ადმინისტრაციული ერთეულის წარმომადგენლის მომართვა (N223/02 05.01.17), რომელშიც წარმომადგენელი აღნიშნავს, რომ 2017 წლის 1 იანვარს ჯიხაშკარის ადმინისტრაციულ ერთეულში მცხოვრებ მოქალაქე პაპუნა გაბეჩავას საცხოვრებელი სახლი მთლიანად განადგურდა ხანძრის შედეგად, აგრეთვე ხანძარმა იმსხვერპლა ოჯახის ერთ-ერთი წევრის მურმან გაბეჩავას სიცოცხლე. მოქალაქე პაპუნა გაბეჩავა მეუღლესთან, სამ არასრულწლოვან შვილთან და ასაკოვან ბებიასთან ერთად თავს აფარებს დამხმარე ნაგებობას.

როგორც მოგეხსენებათ, მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის სოციალური დახმარების პროგრამები არ ითვალისწინებს აღნიშნული კატეგორიის ბენეფიციართა დაკრძალვის ხარჯების ანაზღაურებას. გამომდინარე აქედან, გთხოვთ, გაითვალისწინოთ გაბეჩავების ოჯახის მიმღე მდგომარეობა და საკრებულოს სხდომაზე განიხილოთ აღნიშნულ ოჯახზე მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის სარეზერვო ფონდიდან (კოდი 0104) ფულადი დახმარების გაწევის საკითხი 3000 (სამი ათასი) ლარის ოდენობით .

ლაშა გოგია

გამგებელი

12/03